სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-03

გორი 08 01 2016წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ უზრუნველყოს პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების განსაკუთრებული პროფესიული ან / და სამეცნიერო მიღწევების დადგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

2. კანცელარიის გამგემ უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯიღრაშვილის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი